სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/201

ქ. თბილისი 25 ივლისი 2018

სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე

კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რ. ქუთათელაძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე 250-საათიანი დატვირთვით, საგანთა ჯგუფი №116 და ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე 500-საათიანი დატვირთვით, საგანთა ჯგუფი №127;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**